ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 37
2022 წლის 25 აგვისტო
ქალაქი ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**,

მუხლი 1
მართვის ოპტიმიზაციისათვის, მოხდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა და შეიქმნას შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული დაყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 იანვრის №4 დადგენილება.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

N	ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი დასახლებები
1	ქალაქი ახალციხე	ქალაქი ახალციხე
2	ქალაქი ვალე	ქალაქი ვალე
3	აწყური	სოფელი აწყური, სოფელი თისელი, სოფელი ტყემლანა
4	აგარა	სოფელი აგარა, სოფელი გურკელი, სოფელი ზიკილია, სოფელი საყუნეთი, სოფელი წინუბანი
5	ფერსა	სოფელი ფერსა, სოფელი გიორგიწმინდა, სოფელი მუგარეთი
6	კლდე	სოფელი კლდე, სოფელი წნისი
7	წყრუთი	სოფელი წყრუთი, სოფელი წირა, სოფელი მიქელწმინდა
8	სხვილისი	სოფელი სხვილისი, სოფელი ზემო სხვილისი, სოფელი ივლიტა
9	წყალთბილა	სოფელი წყალთბილა, სოფელი აბათხევი, სოფელი ნაოხრები, სოფელი წინუბანი, სოფელი ჯულღა
10	პამაჯი	სოფელი დიდი პამაჯი, სოფელი პატარა პამაჯი, სოფელი ორალი, სოფელი ყულალისი
11	მინაძე	სოფელი მინაძე, სოფელი ღრელი, სოფელი ჭაჭარაქი
12	ურაველი	სოფელი ურაველი, სოფელი მუსხი, სოფელი ხეოთი
13	სვირი	სოფელი სვირი, სოფელი ბოგა, სოფელი ტატანისი
14	ელიაწმინდა	სოფელი ელიაწმინდა, სოფელი ჭვინთა, სოფელი ანი
15	საძელი	სოფელი საძელი, სოფელი ხაკი
16	ანდრიაწმინდა	სოფელი ანდრიაწმინდა, სოფელი ანდა, სოფელი წყორძა